საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 610

26 09 2017წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) იურიდიული სამსახურის უფროსის, ნინო ბეგიაშვილის, 2017 წლის 04 ივლისის №779933 და 12 სექტემბრის №1057564 სამსახურებრივი ბარათების, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 03 იანვრის №01 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საშტატო განრიგის" გათვალისწინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 126[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 34 - ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის და მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.2017 წლის 27 სექტემბრიდან გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტურ თანამდებობაზე და განაცხადების წარდგენის ბოლო დღედ განისაზღვროს 2017 წლის 10 ოქტომბერი.

2.იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართლის მიმართულებით;

2.2. სამუშაო გამოცდილება - 1 წელი. უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც აქვს: საერთო სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას მხარის წარმომადგენლად მონაწილეობის გამოცდილება;

2.3. თანამდებობრივი სარგო - 1320 ლარი;

2.4. გამოსაცდელი ვადა - 3 თვე;

2.5. იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) სასამართლოში და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, მინდობილობის საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენლობა და ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების განხილვა ცენტრის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და მათზე პასუხის გაცემა;

დ) დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, იურიდიული სამსახურის შიდა დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება;

ე) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

2.6. კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Office Power Point, Outlook) კარგად ცოდნა;

2.7. ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები;

2.8. უცხო ენის ცოდნა (ინგლისური);

2.9. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

ა) სტრესულ გარემოში მუშაობის (მრავალი და მრავალფეროვანი საკითხების შეზღუდულ ვადებში შესრულების) უნარი;

ბ) სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

გ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;

დ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების უნარი;

ე) ანალიტიკური აზროვნების უნარი;

ვ) დეტალების მიმართ დაკვირვებულობის უნარი;

ზ) ორგანიზებულობა;

თ) გუნდური მუშაობის უნარი.

3.10. კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი";

გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

ე) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

ვ) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

ზ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";

თ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ";

ი) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";

კ) საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ";

ლ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

მ) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";

ნ) საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

ო) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

პ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

ჟ) „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანება;

რ) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;

ს) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;

ტ)„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანება;

უ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება.

3.11. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) წერითი დავალება (წერითი დავალების მაქსიმალური ქულა არის 30 ქულა, ხოლო გამსვლელი ქულა არის 16);

გ) გასაუბრება.

4. კომისია ვალდებულია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

5. ცენტრის იურიდიული სამსახურის დავების სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირმა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე - www.hr.gov.ge - აუცილებლად უნდა ატვირთოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) 2 რეკომენდატორის სახელი,გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია;

გ) სამოტივაციო წერილი.

6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

7. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე